ტბორისთვის წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით მომსახურების ხელშეკრულება[1]

№: ____-___

___/___/_____

მიმწოდებელი:

დასახელება (მიმწოდებელი): შპს „საქართველოს მელიორაცია“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204524568
რეგიონი:
სერვის ცენტრი:
წარმომადგენლის თანამდებობა: სერვის ცენტრის უფროსი
წარმომადგენლის სახელი და გვარი:

მომხმარებელი:

სახელი, გვარი/დასახელება:
პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:
ტელეფონის ნომერი:
ელ.ფოსტა:
მისამართი:

გადახდაზე პასუხისმგებელი პირი არის მომხმარებელი: კი ☐; ან არა, ☐**ასევე ივსება,**
თუ მომხმარებელი და გადახდაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა პირები არიან:

სახელი, გვარი/დასახელება:
პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:
ტელეფონის ნომერი:
ელ.ფოსტა:
მისამართი:

ხელშეკრულებაზე თანდართულია გადახდაზე პასუხისმგებელი პირის წერილობითი ან ელექტრონული თანხმობა (დანართი N3) - კი ☐.

მომსახურება და მომარაგების პირობები:

წყლის მიწოდების მომსახურების დაწყების თარიღი ___/___/_____
უძრავი ქონება სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება:
მისამართი
საკადასტრო კოდი
ან
მდებარეობის აღწერა
GPS კოორდინატები [1]
საირიგაციო სისტემის მიწოდების წერტილი:
დასახელება
მდებარეობა
GPS კოორდინატები [2]

ტბორ(ებ)ის ტექნიკური მახასიათებლები:

ტბორ(ებ)ის სარკისებრი ზედაპირის ჯამური ფართობი: ჰა
ტბორ(ებ)ის საშუალო სიღრმე: მ
ტბორ(ებ)ის წყლის ტევადობის ჯამური მოცულობა: მ³

[1] წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ გამრიცხველიანებული ტბორის შემთხვევაში. აღრიცხვიანობის მოწესრიგებამდე, დაუშვებელია ტბორთან აღნიშნული ხელშეკრულების გამოყენება.
[2] ველი ივსება სურვილის შემთხვევაში

ტბორ(ებ)ის აგებული დამბის ფართობი:	.....$მ^3$
დამბის მახასიათებელი:	დატკეპნილი დამბა ☐; ან ქვიშის დამბა ☐;
ტბორ(ებ)ის ფსკერი მოპირკეთებულია საიზოლაციო მასალით:	კი ☐; ან არა ☐;
ტბორ(ებ)ის წყლის მიღების წყარო:	☐ მხოლოდ საირიგაციო სისტემა; ☐ ასევე, მიწისქვეშა:_____$მ^3$; ☐ ასევე, ზედაპირული:_____$მ^3$.

1 **მხარეთა ვალდებულებები:**

1.1 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ურთიერთობა აწარმოონ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2023 წლის 30 აგვისტოს №39 დადგენილებით დამტკიცებული „საირიგაციო წყლის მიწოდების წესებითა“ (შემდგომში - წესები) და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

1.2 მომხმარებელი ვალდებულია, მოხმარებულ წყლის მოცულობაზე გადაიხადოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილი მომსახურების საფასური, ყოველ მეტრ კუბში.

1.3 მომხმარებელი საირიგაციო სისტემიდან წყალს მოიხმარს არასაირიგაციო დანიშნულებით, ტბორის წყალმომარაგების მიზნით (მიწოდების წერტილიდან, მიმწოდებელთან შეთანხმებულ პერიოდში, შეთანხმებული მოცულობით).

1.4 მიმწოდებელი ვალდებულია საირიგაციო სისტემის მეშვეობით უზრუნველყოს წყლის უსაფრთხო, უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი მიწოდება წესებისა და მის შესაბამისად დადებული ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

1.5 წესების შესაბამისად, მომხმარებელი ვალდებულია, წყალი მოიხმაროს რაციონალურად, წინასწარ შეთანხმებული წყალმომარაგების განრიგისა და ტბორის ნორმალური ექსპლუატაციისას წყლის მოხმარების ნორმის შესაბამისად, რომელიც გაანგარიშდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული ტბორის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში მიმწოდებლის მიერ მის ოფიციალურ ვებგვერდზე (https://ag.ge/), საჯაროდ გამოცხადებული მეთოდის მიხედვით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „წყალსამეურნეო გაანგარიშების წესის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 12 დეკემბრის N 2-760 ბრძანებით განსაზღვრულ პირობებს.[4] ამასთან, საირიგაციო წყლის ზენორმატიული და მიმწოდებელთან შეუთანხმებელი მოხმარება ანაზღაურდება განცალკევებულად, წესებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

1.6 წესების შესაბამისად, მომხმარებელი ვალდებულია დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური მიმწოდებლის მიერ მითითებული საბანკო ანგარიშებზე, გადასახდელი თანხის ანგარიშსწორების ქვითარში სრულად ასახვისა და გადახდის ვადის განსაზღვრის შემდეგ.

2. ხელშეკრულების დანართებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2 ცვლილება-დამატება, თუ ის შეესაბამება წესებსა და კომისიის მიერ დამტკიცებულ ხელშეკრულების პირობას, ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (თუ მხარეები ამოქმედების სხვა ვადაზე არ შეთანხმდნენ).

წინამდებარე ხელშეკრულების დანართ(ებ)ი:

☐	დანართი N1	წყალსარგებლობის განრიგი
☐	დანართი N2	ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში მიმწოდებლის ვებგვერდზე განთავსებული ტბორის ნორმალური ექსპლუატაციისას წყლის მოხმარების ნორმის განსაზღვრის მეთოდი (სურვილის შემთხვევაში);
☐	დანართი N3	გადახდაზე პასუხისმგებელი პირის წერილობითი თანხმობა (თუ მომხმარებელი და გადახდაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა პირები არიან).

მხარეთა ხელმოწერები:

მომხმარებელი (სახელი, გვარი) **შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენელი (სახელი, გვარი)**

[3] აღნიშნული ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით გაანგარიშდება ტბორის ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში წყლის მოხმარების ნორმა, „წყალსამეურნეო გაანგარიშების წესის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 12 დეკემბრის N 2-760 ბრძანებით განსაზღვრული წესით.

[4] ამასთან, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს ტბორის ნორმალური ექსპლუატაციისას წყლის მოხმარების ნორმის გაანგარიშების წესის ამ ხელშეკრულებაზე დანართის სახით თან დართვა.